MES 0 23 0001166754

15/09/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თაობა
ომარ მიქელაძე - სკოლის გენერალური დირექტორი
ირაკლი მიქელაძე - სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

სსიპ - დავით ელიზბარაშვიის სახელობის ყვარელის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლა
ზაირა არევაძე-სკოლის დირექტორი

სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის დუშეთის N1 საჯარო სკოლა
ლალი ეპიტაშვილი-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ-ქალაქბათუმის N25 საჯაროსკოლა
ნანული დიდმანიძე-სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს თაობა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ბ) თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი).

სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის №1 საჯარო სკოლა:
ა) მაკა ჭიაბერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვარდო გოგილავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლა:
ა) თეონა ყაჭეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა მახარობლიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე სეხნიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ შალვაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა:
ა) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა გიორგობიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა კუკავა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე -(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 01 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17

მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თაობის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
2. შპს თაობის მიერ საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
3. შპს თაობის მიერ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
4. შპს თაობის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის დუშეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს და განაცხადა, რომ დაწესებულება ფართს იცვლიდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, გამომდინარე იქედან, რომ თითოეული პროგრამის შესაბამისი დასკვნა და საკითხი ერთმანეთის მსგავსი და ასევე, ერთმანეთთან კავშირში იყო, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, შპს თაობის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ფართის ცვლილების შესახებ საკითხები წარმოედგინათ გაერთიანებული ფორმატის სახით თითოეული საფეხურის შემთხვევაში.
საბჭოს წევრებმა, ექსპერტებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა ერთხმად გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება.

1. შპს თაობის მიერდაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;
2. შპს თაობის მიერ საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;

3. შპს თაობის მიერ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და თინათინ ალავიძემ.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო განვითარებაზე. სკოლაში დამკვიდრებული იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და გაზიარებული პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობდა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციის მიერ მასწავლებელთა მხარდაჭერას, მათი საჭიროებებისა და გამოწვევების სისტემატურ კვლევას და კვლევის შედეგების შესაბამის თანადგომას, მეორე მხრივ, კი მასწავლებელთა ურთიერთდახმარებას და მაღალ თანამშრომლობით კულტურას. აღნიშნული გამოიხატებოდა ინტეგრირებული გაკვეთილებში, საერთო პროექტების განხორციელებაში, საგნობრივი კათედრების გამოცდილების გაზიარებაში, ყოველივე ეს კი მხარდაჭერილი და წახალისებული იყო სკოლის მიერ შემუშავებული საბონუსე სქემით. ექსპერტის თქმით, საბონუსე სქემის ამოცანა იყო, სკოლაში მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და წინსვლის ერთიანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფდა საუკეთესო კადრების შენარჩუნებას, მასწავლებელთა მოტივაციისა და სტატუსის ამაღლებას. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ ბონუსის დარიცხვა ხდებოდა წელიწადში ორჯერ, პირველსა და მეორე სემესტრში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის თითოეული კომპონენტი შეფასდა -შესაბამისად. აქვე, ექსპერტმა, დასძინა, რომ დაწესებულებას 3.6.3.5. ინდიკატორთან მიმართებით მიეცა რჩევა, კერძოდ, დაწესებულებას ვებ-გვერდზე აესახა სკოლის ხედვა, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, რაც ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას.

ექსპერტმა, ქეთევან, ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ყველა მნიშვნელოვანი და საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის, სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, პერსონალის მართვის პოლიტიკის, დოკუმენტი, მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის დებულება, სკოლის შინაგანაწესი და სხვ.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში წახალისებული იყო პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულება სამსახურებრივი დამსახურებისთვის დასაქმებულისთვის იყენებდა წახალისების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, ფულადი პრემიის გაცემა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის, საგანგებო სიტუაციებში რეაგირებასა და პირველადი დახმარების აღმოჩენას. მისი თქმით, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილი იყო ვიდეო-თვალთვალის სისტემით, ვიდეოდაკვირვებაზე გამოყოფილი იყო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი დაცული იყო ასევე, დაცვის დისტანციური სისტემით, რომლის უზრუნველყოფასაც ახორციელებდა შესაბამისი აკრედიტირებული კომპანია შოს ,,ომეგა". ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ სააგენტოს დასკვნა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ შენობა აკმაყოფილებდა კონსტრუქციულ პროექტს. ასევე, აკმაყოფილებდა კონსტრუქციული სიმტკიცის, მდგრადობის, საიმედოობისა და სეისმედეგობის პირობებს. ასევე, დაწესებულებას ჰქონდა დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც გადაგზავნილი იყო საქართველოს შინაგან სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლის ახალი შენობა სრულად აკმაყოფილებდა ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებს და აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით. აქვე, ექსპერტმა, დასძინა, რომ დაწესებულება ვიზიტის პერიოდში ელოდებოდა პასუხს მერიიდან შენობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დასტურდებოდა, რომ შენობა აკმაყოფილებდა კონსტრუქციულ პროექტს და ეძლეოდა რეკომენდაცია გადაცემულიყო ხანგრძლივ უსაფრთხო ექსპლუატაციაში, ასევე, როგორც აღინიშნა, შენობას გავლილი ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების გამოცდა და მიღებული ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, როდის შეძლებდა დაწესებულება შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის მერიიდან მიღებას და მოესწრებოდა თუ არა აღნიშნული დოკუმენტის მიღება სწავლის დაწყებამდე, 15 სექტემბრამდე. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ირაკლი მიქელაძემ განაცხადა, რომ მას დაზუსტებული პასუხი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არ ჰქონდა. მისი თქმით, სკოლის წარმომადგენლები ინფორმირებული იყვნენ, რომ აღნიშნულ დოკუმენტს ისინი 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიიღებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კი შესაძლებელი იყო დაწესებულებას დოკუმენტი 1 თვის განმავლობაში მიეღო, აქედან გამომდინარე, შესაძლოა დაწესებულებას სწავლა არაექსპლუატირებულ შენობაში დაეწყო. თუმცა, აღნიშნული შენობა აკმაყოფილებდა უსაფრთხოების ყველა მოთხოვნას.

საბჭოს წევრებმა, ზვიად გოგუაძემ, ასევე, თამარ მამსიკაშვილმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში თუკი დაწესებულება სწავლის დაწყებამდე 15 სექტემბრამდე ვერ წარმოადგენდა დაწესებულების შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შესაბამის დოკუმენტს, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საჭირო დოკუმენტს წარმოადგენდა დაწესებულების უსაფრთხოების თვალსაზრისით, მას შეეძლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, სწავლა დაეწყო განსხვავებულ თარიღში. დავით მალაზონიამ, ასევე, ზვიად გოგუაძემ და ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადეს, რომ შესაძლოა დაწესებულებას 1 თვის ვადაშიც ვერ მიეღო შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი, რაც, თავის მხრივ, სკოლაში სწავლის განახლებული პროცესის დროულად დაწყებას შეუშლიდა ხელს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილებას მოსწავლეთა უსაფრთხოების გათვალისწინებით იღებდნენ. მისი თქმით, დაწესებულებას სწავლა უნდა დაეწყო მას შემდეგ, რაც შესაბამისი ორგანოსგან მიიღებდნენ დასკვნას შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ. საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას სწავლის დაწყებამდე უნდა წარმოედგინა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კენჭისყრის დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში, დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაიწყებოდა მას შემდეგ, რაც სკოლა ცენტრში წარმოადგენდა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაობის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს თაობის (ს/კ: 445474415) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაობის მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე

დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს თაობის (ს/კ: 445474415) მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაობის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს თაობის (ს/კ: 445474415) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას სასწავლო პროცესის დაწყებამდე ცენტრში უნდა წარმოედგინა ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის შემდეგაც უფლებამოსილი იქნებოდა დაეწყო სასწავლო პროცესი.

4. შპს თაობის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და თინათინ ალავიძემ.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისშესახებ ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 აგვისტოს, ხოლო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის შესახებ ვიზიტი განხორციელდა 17 აგვისტოს. მან განმარტა, რომ დაწესებულებაში საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 272 -ს, ხოლო სკოლას სურდა 400 მოსწავლემდე ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა. სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობა კი 272 იყო.
ექსპერტის, განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები. ექსპერტმა, განმარტებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის თითოეული კომპონენტი შეფასდა -შესაბამისად. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება განთავსებული იყო ახალაშენებულ, თანამედროვე ტიპის შენობაში. სკოლაში, შექმნილი იყო ადაპტირებული და უსაფრთხო გარემო. სკოლა აღჭურვილი იყო, ყველა იმ საჭირო, მრავალფროვანი რესურსით, რომელიც ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისად ხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა, თუ არა სკოლას ლიფტის გამოცდის აქტი. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიფტის გამოცდის აქტი შესული იყო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნაში, რომელიც გაცემული იყო 112-ის მიერ.

საბჭოს წევრების შეფასებით, აღნიშნული საკითხის განხილვისასაც ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა სკოლის ახალი შენობის ექსპლუატაციაში მიღების გარემოება. საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლა სასწავლო პროცესს განახორციელებდა, მას შემდეგ, როცა სკოლა მიიღებდა ახალი შენობუს ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაობის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 400-ით განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16^2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს თაობას (ს/კ:445474415) გაეზარდოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 400-ით.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას სასწავლო პროცესის დაწყებამდე ცენტრში უნდა წარმოედგინა ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის შემდეგაც უფლებამოსილი იქნებოდა დაეწყო სასწავლო პროცესი.

5. სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში. დაწესებულება სწავლას ახორციელებდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 600 მოსწავლე.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე: სკოლას ჰქონდა გამორჩეულად მაღალი პასუხისმგებლობა სსსმ მოსწავლეების სწავლა-სწავლების ხარისხის მიმართ. დაწესებულება ზრუნავდა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და განვითარებაზე.

ექსპერტმა წარმოადგინა ოთხივე სტანდარტის შეფასება:

პირველი სტანდარტი: სკოლის ფილოსოფია ექსპერტების მიერ შეფასდა მეტწილად შესაბამისად, რადგან ორივე კომპონენტი 1.1 და 1.2 შეფასებული იქნა მეტწილად.

ხოლო მესამე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასება განაპირობა კომპონენტების: 3.1 ; 3.4 ; 3.6 მეტწილად შეფასებამ.

ექსპერტის განმარტებით მეოთხე სტანდარტი შეფასდა შესაბამისობით და ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა მრავალფეროვან პროექტებს. მან დაამატა ასევე, რომ სკოლას ჰქონდა ყველა საჭირო ინვენტარი, სასწავლო რესურსები, ლაბორატორიები. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, ექსპერტის განმარტებით, კომპონენტი 2.2 შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ხოლო 2.1; 2.3 და 2.4 შეფასდა შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იქნა რეკომენდაციები შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით; 1.1.1.1 ინდიკატორი - შეიმუშავოს მისიის, ხედვის, ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი; 1.2.1.1 ინდიკატორი - შექმნას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია; 1.2.1.2 - სკოლას მიეცა რეკომენდაცია შექმნას სტრატეგიული განვითარების გეგმა; 1.2.1.3 - წარმოადგინოს სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა; 1.2.1.4 - შექმნას სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია; 1.2.2.1 - სამოქმედო გეგმაში ასახოს

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები; 3.1.2.4 - უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანა; 3.4.1.1. - უზრუნველყოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ; შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით : 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ვებგვერდის შექმნისა და ინდიკატორებით მოთხოვნილი ინფორმაციის განთავსების თაობაზე; 2.2.2.5 - სამივე საფეხურზე დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შექმნას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა წარმოადგინა ფოტო მასალა და ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ სკოლა არ იყო ახალი რეაბილიტირებული, თუმცა, მიუხედავად ამისა, შენობა და ეზო სათანადო მდგომარეობაში იყო.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია პოზიტიურ შთაბეჭდილებას ახდენდა, თუმცა დასკვნაში ასახული იყო ბევრი ხარვეზი, რომელიც გამოსწორებას საჭიროებდა. მან დასვა შეკითხვა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა სტანდარტის შესაბამისად შეფასება.

ექსპერტმა, ინა ბიწაძემ, კიდევ ერთხელ შეახსენა საბჭოს, რომ დაწესებულებას ჰქონდა გამორჩეული პრაქტიკა სსსმ მოსწავლეების სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლის ღონისძიებები ხშირად ცდებოდა შიდა სივრცეს და რეგიონალურ მასშტაბებსაც იღებდა. დაწესებულებას ჰქონდა პრაქტიკა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებითაც: გეგმავდა შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

ექსპერტმა, ზვიად გოგუაძემ დასვა შეკითხვა ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტთან დაკავშირებით, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ორი სამუშაო დღის ვადაში, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას აღნიშნული დოკუმენტის შექმნაში.

სკოლის დირექტორმა, ზაირა არევაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების თანამშრომლებმა აქტიურად, ვადაზე ადრე მიიღეს პროცესში მონაწილეობა, ხოლო მოსწავლეების ჩართვას კი სკოლა გეგმავდა ონლაინ რეჟიმში, რაც უზრუნველყოფდა პროცესის დასრულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში.

საბჭოს წევრმა, ზვიდ გოგუაძემ დააყენა შუამდგომლობა მისიის შესაბამისი ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტის შექმნის შემდეგ მისი ცენტრში წარმოდგენის თაობაზე.

საბჭოს თავჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი აზრით, სკოლა საჭიროებდა სრულ მონიტორინგს.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა სკოლის დირექტორს დაესახელებინა ის ფაქტორები, რაც ხელს უშლიდა დაწესებულებას განეთავსებინა ინფორმაცია ვებ-გვერდზე, რადგან შესაბამისობის გეგმაში მითითებული დროის ნახევარი იმ პერიოდისთვის უკვე გასული იყო. სკოლის დირექტორმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა მითითებულ ვადებში ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა ექსპერტებს მეორე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რჩევების თაობაზე და განმარტა, რომ მიზანშეწონილი იყო აღნიშნული რჩევები ასახული ყოფილიყო როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციები.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ერთობლივად იქნა მიღებული გადაწყვეტილება რჩევების თაობაზე სკოლის მხარდასაჭერად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 241572552) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი.

6. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის დუშეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აცილება ითხოვა, განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნულ სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში და ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავჯდომარემ დავით მალაზონიამ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ქალბატონ თეონა ყაჭეიშვილს მიმართა თხოვნით, წარმოედგინა სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული ვიზიტის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ პრეზენტაციის დაწყებისას აღნიშნა, რომ სკოლას აქვს ორი შენობა, ერთი მდებარეობს დუშეთში, დავით აღმაშენებლის N57 - ში, სკოლის აღნიშნულ ფართზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ხოლო სკოლის ბალანსზეა ასევე სოფელ ყვავილში არსებული ფართი, სადაც სასწავლო პროცესი არ ხორციელდება.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ წარმოადგინა ვიზუალური მასალა, რათა საბჭოს ნათელი წარმოდგენა შექმნოდა სკოლის ინფრასტრუქტურასა და სასკოლო გარემოზე, ყურადღება გაამახვილა სასწავლო სივრცეების და ეზოს ადაპტირებულ გარემოზე.
პრეზენტატორმა განმარტა, რომ სკოლას განაცხადი წარმოდგენილი აქვს სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე, სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული ოდენობაა - 500, განხორციელების ენა - ქართული.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე, კერძოდ მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროექტების ფარგლებში დაწყებითი კლასებისთვის სასწავლო რესურსების შექმნის პრაქტიკაზე. მან ასევე ისაუბრა და ვიზუალური მასალა წარმოადგინა სასწავლო პროცესში, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილ პროდუქტებზე, ასევე ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებულ მრავალფეროვან აქტივობებზე, რითაც სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.
თეონა ყაჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისად, მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, ხოლო მეორე სტანდარტი (სამივე საფეხურზე) - მეტწილად შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ დეტალურად ისაუბრა სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე. კერძოდ სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უნდა უზრუნველყოს :

- სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურის გაწერა;
- ადამიანური რესურსების განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების ასახვის მექანიზმის შემუშავება;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო

სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება, სააგენტოს წარმომადგენლების განმეორებით სკოლაში მოწვევა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

- ვებ გვერდის ადმინისტრატორის განსაზღვრა და განახორციელოს შესაბამისი ვებ გვერდის საშუალებით საზოგადოების ინფორმირება;
- ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ქართულ ენაზე ასახვა;
- ვერიფიკაციის მექანიზმის გაწერა დოკუმენტში/დოკუმენტებში.

საბჭოს წევრმა თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს სკოლის საუკეთესო გამოცდილების (დაწყებითი კლასებისთვის სასწავლო რესურსების მომზადების თაობაზე) გაზიარების მიზნით. დირექტორმა, დეტალურად გააცნო საბჭოს რესურსების შექმნის პროცესი.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს კითხვით, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის შემოწმების აქტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით, თუ

როდის შეძლებენ შესაბამისობაში მოყვანას. ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში არის ისეთი პრობლემური საკითხები მოსაგვარებელი, რომელთა გადაჭრაში საჭიროა სკოლის გარდა სხვა სტრუქტურების ჩართულობაც.
სკოლის დირექტორმა ისაუბრა ამ ეტაპზე განხორციელებული აქტივობების შესახებ, ასევე იმ გეგმებზე რაც შესაბამისობის გეგმაში აქვთ გაწერილი სახანძრო სისტემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, მიმართა სკოლას კითხვით, შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე ჰქონდათ თუ არა მოპოვებული შენობის მდგრადობის დასკვნა, რასაც სკოლის წარმომადგენელი დაეთანხმა და აღნიშნა, რომ სკოლას უკვე აქვს მდგრადობის დასკვნა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი არის პანდემიის პერიოდში მოქმედი და ამჟამად აქვს თუ არა განახლებული წესი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი მოქმედებენ კანონმდებლობის შესაბამისად და საქმისწარმოების წესის განახლებასთან დაკავშირებით მიიღეს რჩევა და პირველ სემესტრში გეგმავენ შესაბამის ცვლილებებს.
ასევე საბჭოს წარმომადგენლების მხრიდან დაისვა კითხვა, ჰყავდა თუ არა სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რასთან დაკავშირებითაც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ არ ჰყავთ ამ ეტაპზე.
საბჭოს თავჯდომარემ საგნობრივ ექსპერტებს მიმართა კითხვით თუ როგორ შეაფასეს სკოლაში არსებული სიტუაცია ადამიანური რესურსის განვითარებაზე ზრუნვის თვალსაზრისით, როგორ უწყობს სასკოლო კლიმატი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას ხელს.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა აღნიშნა, რომ თვითონ ადგილზე იმყოფებოდა საავტორიზაციო ვიზიტისას და შესაძლებლობა ჰქონდა დაენახა არამარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მუშაობა, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებისაც. მან ასევე დასძინა, რომ სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელის პროექტით განსაზღვრულ აქტივობებში და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით თვითონ განსაზღვრავენ შუალედურ მიზნებს, ასევე სკოლას სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქვს პერსონალის განვითარების აქტივობები, ამასთან მასწავლებლები რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს. სკოლის კათედრების ოქმების და სამუშაო გეგმებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კათედრები ერთად მსჯელობენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებზე. ასევე სკოლაში არსებობს კათედრებს შორის თანამშრომლობის გამოცდილებაც, რისი მაგალითიცაა STEM პროექტებში ჩართულობა.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე მექანიზმი, რითაც დაადგენდა მასწავლებელთა საჭიროებებს.
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ნატო შაინიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობდა ხარისხის ჯგუფი, ჰქონდათ ურთიერთდასწრების გამოცდილება და მასწავლებლები აძლევდნენ ერთმანეთს განმავითარებელ შეფასებებს. ასვე აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა პროექტები, რომლებიც ადასტურებდა მშობელთა ჩართულობას.
იმავე კითხვით საბჭოს წევრებმა მიმართეს სკოლის წარმომადგენელს, რასთან დაკავშირებითაც ლალი ებიტაშვილმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც მასწავლებელთა გარკვეულ ჯგუფს უჭირდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ამიტომ სკოლამ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან კომუნიკაციით მოიწვია ტრენერი და გაუწია მასწავლებლებს დახმარება.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა აეხსნათ უზრუნველყოფდა თუ არა სკოლა მოსწავლეთა მხარდაჭერას, რამდენად არის სწავლა-სწავლების მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები დანერგილი.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, აღნიშნა, რომ საკლასო ოთახებში იყო კუთხეები, სადაც გამოფენილი ჰქონდათ მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მიიჩნია მათ მხარდაჭერად.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა მახარობლიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ეკო-კლუბი და მხარეთმცოდნეობის კლუბი. ისინი ასევე ახორციელებდნენ პროფესიული მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის და თითოეული კლასი აღჭურვილი ჰქონდათ მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომლებიც წარმოადგენდა რეალურად ჩატარებული სამუშაოების პროდუქტს. საკლასო სივრცეებში წარმოდგენილი ნამუშევრების რაოდენობა მეტყველებდა იმაზე, რომ სკოლაში აქტიურად არის დანერგილი კეთებით სწავლება.
მათემატიკის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა საბჭოს გაუზიარეს მათი მოსაზრებები შესაბამისი საგნობრივი კათედრების გამოცდილებასა და მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლს (ს/კ: 229319181) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N3).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი

7. სსიპ-ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ.

ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ივნისს. სსიპ - ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა მდებარეობდა ქალაქი ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №102ა-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ექსპერტის განმარტებით, სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1798 მოსწავლე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი. გადამოწმდა, როგორც სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, ასევე შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციები. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე მყოფი ინვენტარის გათვალისწინებით, დაწესებულებას მისცა რჩევა, რომ სასწავლო პროცესი განეხორციელებინა 1600 მოსწავლით ორ ცვლაში.

ექსპერტ, ნინო ვასაძის განცხადებით, პირველი სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ 3.1, 3.3, 3.5, 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილად. ექსპერტის განმარტებით, მეოთხე სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად, ხოლო მეორე სტანდარტი სამივე საფეხურის პროგრამაზე შეფასდა მეტწილად შესაბამისად რადგანაც 2.2, 2.3 კომპონენტები შეფასდა მეტწილად.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები ინდიკატორი N1.2.1.2 - თან მიმართებით, რომ დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/06/2023-04/09/2023) უზრუნველყოს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმის შემუშავება, ასევე ინდიკატორი N1.2.1.4 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(04/09/2023-08/09/2023) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

ექსპერტის, ნინო ვასაძის თქმით, ინდიკატორი N 3.1.2.3 ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (10/08/2023-22/08/2023) უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ჩატარების წესის შემუშავება; ინდიკატორი N3.1.2.4 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (10/08/2023-22/08/2023) უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება; ინდიკატორი N3.3.1.1 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (02/10/2023-30/10/2023) უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმის შემუშავება. ინდიკატორი N3.3.1.2 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (25/01/2024-20/03/2024) უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება. ინდიკატორი N3.3.1.3 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (17/09/2023 04/10/2023)უზრუნველყოს საჩივრების განხილვის სისტემის შემუშავება. ინდიკატორი N3.3.1.4 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (15/08/2023-28/09/2023) უზრუნველყოს სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა უფლებების დაცვის შიდა მექანიზმების შემუშავება. ინდიკატორი N3.3.2.1 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (02/10/2023-30/10/2023) უზრუნველყოს სკოლაში მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების

მექანიზმების შემუშავება. ინდიკატორი N 3.4.1.1 - დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (19/06/2023-15/06/2024) უზრუნველყოს: უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება; შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება; ინდიკატორი N 3.4.1.5 - დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/11/2023-30/11/2023) უზრუნველყოს სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შემუშავება; ინდიკატორი N 3.4.1.6 - დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/11/2023-30/11/2023) უზრუნველყოს სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შემუშავება. ინდიკატორი N3.5.1.2 - დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/11/2023-30/11/2023) უზრუნველყოს მატერიალური რესურსის განკარგვის წესის შემუშავება; ინდიკატორი N3.5.1.3 - დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (10/08/2023-15/06/2024) უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოების მოწყობა; ინდიკატორები N3.6.3.1, 3.6.3.4 და 3.6.3.5 - დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (17/07/2023 30/11/2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

ექსპერტის განმარტებით, სამივე საფეხურის პროგრამაზე გაიცა იდენტური რეკომენდაციები, კერძოდ: ინდიკატორი N 2.2.1.4 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023- 17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება; ინდიკატორი N 2.2.1.5 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება; ინდიკატორი N 2.2.2.3 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების სისტემის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება; ინდიკატორი N 2.2.2.5 - თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/09/2023- 25/12/2023) უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება და ინდიკატორი N 2.3.2.3 -თან მიმართებით, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023)უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

ექსპერტმა, ნინო ვასაძემ, ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნა რომ სკოლა არ იყო სრულად რეაბილიტირებული, თუმცა ადმინისტრაციამ თავისი შესაძლებლობით უზრუნველყო შენობის გარკვეული ნაწილების გარემონტება და შესაბამისობაში მოყვანა. დაწესებულებას ჰქონდა ორი კორპუსი, რომელიც ხიდით უკავშირდებოდა ერთმანეთს.

სკოლას ჰქონდა საჭირო რესურსით აღჭურვილი კომპიუტერების ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ორი სპორტდარბაზი, სტანდარტის შესაბამისი საბიბლიოთეკო სივრცე. სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა ექიმის ოთახი, რომელიც იყო საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. უმეტეს საკლასო ოთახში დამონტაჟებული იყო პროექტორები, ასევე დერეფნებში გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა სკოლის დირექტორს და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარკვეული პრობლემები მეორე სტანდართთან მიმართებით და საინტერესო იყო ის თუ როგორ აპირებდა ადმინისტრაცია აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას, რა გამოცდილება ჰქონდათ მათ.

სკოლის დრექტორმა, ნანული დიდმანიძემ, აღნიშნა რომ ისინი მზად იყვნენ და უკვე დაწყებული აქვთ აქტიური მუშაობა იმ საკითხებზე, რომელზეც მიიღეს რეკომენდაცია. სკოლას

ჰქონდა გამოცდილება აღნიშნულ საკითხებზე მუშაობაში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ადმინისტრაცია ინიშნავდა თითოეულ ხარვეზს და დაიწყეს მათი გამოსწორება კათედრებთან ერთად.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მიმართა ექსპერტებს და სთხოვა აეხსნათ, რამ გამოიწვია N 2.2.2.4 ინდიკატორის, რომელიც გულისხმობდა სკოლაში შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას და სამართლიანობას შეფასებული იყო, როგორც სრულად შესაბამისი და სხვა ინდიკატორზე, რომელიც ეხებოდა ჰოლისტურ შეფასებას პირდაპირ იყო დაფიქსირებული, რომ ზოგიერთ საგნობრივ ჯგუფს საერთოდ არ ჰქონდა შემუშავებული შეფასების სისტემა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ვასაძემ, აღნიშნა, რომ ვინაიდან ყველა კათედრას არ ჰქონდა მსგავსი ტიპის პრობლემები და სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, საგნის კურიკულუმების პროექტი, რომელიც აკმაყოფილებდა ინდიკატორის მოთხოვნას, ამის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება რომ შეეფასებინათ ინდიკატორი შესაბამისობით.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხით მიმართა სკოლის დირექტორს, ნანული დიდმანიძეს, ჰყავდათ თუ არა მათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და ირღვეოდა თუ არა მათი უფლებები იმით, რომ სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.
სკოლის დირექტორმა, ნანული დიდმანიძემ, აღნიშნა რომ მათ ჰყავდათ 14 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა არც ერთ მათგანს არ სჭირდებოდა ადაპტირებული გარემო. დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის შენობა საჭიროებს ადაპტირებას და ამის შესახებ უკვე ჰქონდა შესაბამისი ქმედებები დაწყებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

გაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლას (ს/კ: 248385965) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი.

დღის წესრიგით გათალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა